



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 601  
29/03/2018

ქალაქი ბათუმი

601-05-4-201803291303



### **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა) თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 12 მარტის №536 ბრძანება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 30 მარტიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა